პრაქტიკული დავალება

სახელი: ანა ჯიოშვილი

თემა: მიგრაცია და სოციალური მობილობა.

დღიური: კუნგის ბუშმენებთან (5 დღე)

დღე 1 ტომთან გაცნობა

გათენდა პირველი დღე, დღესაც ჩვეულებრივად გავიღვიძე ჩემს ბანაკში, ჩვენი მოსახლეობა ოჯახივით მჭიდროდაა დაკავშირებული, თითოეულს თავისი როლი აქვს - ეს არის ჩვენი მოსახლეობის სტრუქტურა. უფროსები, რომლებიც მთელი ცხოვრება ჩემი მასწავლებლები იყვნენ ახლა ჩემი მთავარი სოციალიზაციის აგენტები არიან. მათგან ვსწავლობ ტრადიციებს, ნადირობას, წესრიგსა და ურთიერთობას. სოციალიზაცია აქ ბუნებრივია, ნელ-ნელა ვგრძნობ, როგორ მყარდება ჩემი იდენტობა ამ ტომის შვილად. დრო და სივრცე ჩემთვის აქ ყოველთვის იყო, რადგან მე აქაურობის ნაწილი ვარ და მიყვარს აქაურობა.

დღე 2 ცხოვრების, უნარების სწავლა

დღეს მამასთან ერთად გავედი სანადიროდ. უკვე მჯერა, რომ ყველაფერი, რასაც ვსწავლობ, ჩემი სოციალური მობილობის ნაწილია. ნელ-ნელა ვიღებ მეტ პასუხისმგებლობას ტომის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენი მოსახლეობა ყველა ასაკის ადამიანით არის დაკომპლექტებული და თითოეულის როლი ქმნის მოსახლეობის სტრუქტურას. სოციალიზაციის აგენტები უფროსები და ბებიები ისევ მეხმარებიან ტრადიციების სწავლაში. სოციალიზაცია აქ ყოველდღიური გამოცდილებაა: ერთად ვჭამთ, ვშრომობთ, ვნადირობთ. საღამოს კი გემრიელი ვახშმით ვასრულებთ დღეს.

დღე 3 ახალი ცოდნის აღმოჩენა

დღეს განსაკუთრებული დღე იყო, ბებიამ და დედამ მასწავლეს როგორ ამოვიცნოთ მცენარეები, რომლებიც საკვებად არის გამოსადეგი და როგორ დავადგინოთ რომელ გზას გავყვეთ. ეს ყველაფერი ჩვენი ტომის ნაწილია და სოციალიზაციის აგენტების დახმარებით ვსწავლობთ. ჩვენი მოსახლეობა ერთი ოჯახივით მოქმედებს, ბავშვებიც კი სწავლობენ, რაც აძლიერებს მოსახლეობის სტრუქტურას. ნელ-ნელა ვგრძნობ, რომ ჩემი სოციალური მობილობა იზრდება, უკვე დამოუკიდებლად შემიძლია რაღაცეების გაკეთება, მაგალითად მცენარეების მოპოვება. სოციალიზაცია აქ ყოველდღიური პრაქტიკაა. დრო სწრაფად გადის, როცა ახალ რამეს ვსწავლობ, და იდენტობა უფრო მყარდება.

დღე 4 ტომის იდენტობა და საზოგადოებრივი ცხოვრება

დღეს ვფიქრობდი, როგორ აღიქვამენ ტომის წევრები საკუთარ თავს. თითოეული ჩვენი მოსახლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ქმნის მოსახლეობის სტრუქტურას. სოციალიზაციის აგენტები ასწავლიან ტრადიციებს, რაც აყალიბებს ჩვენს იდენტობას. დრო და სივრცე აქ განსხვავებულ მნიშვნელობას იღებს, რადგან ყოველდღე კიდევ უფრო მყარდება ჩემი განცდა, რომ ამ ტომის ნაწილი ვარ.

დღე 5 ტომის ყოველდღიურობა

კუნგების ტომებში ბავშვები სწავლობენ უფროსებისგან ტრადიციებს და ცხოვრებას ბუნებაში. ყველა უფროსი სოციალიზაციის აგენტია. იარაღები, ხის ინსტრუმენტებია. შინაური ცხოველები ძირითადად არ გვყავს, მხოლოდ ხარები და ამ ხარებს თავიანთი დანიშნულება აქვთ, ისინი ჩვენთვის მნიშვნელოვნები არიან. ჩვენ გვაქვს ტრადიცია რაშიც ხარებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

დასკვნა

კუნგის ბუშმენების ტომების ცხოვრება კარგად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პატარა მოსახლეობა ეფექტურად ერთიანად და ორგანიზებულად ფუნქციონირებდეს. მათი მოსახლეობის სტრუქტურა მკაფიოდ დაყოფილია გამოცდილებაზე, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის სწორ გადანაწილებას. სოციალიზაცია ყოველდღიურ პრაქტიკულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული, ხოლო უფროსები, როგორც სოციალიზაციის აგენტები, გადასცემენ ცოდნას და ტრადიციებს ახალ თაობებს. ტომის წევრები ერთმანეთს მხარდაჭერას უწევენ, რაც ზრდის სოციალურ მობილობას და აძლიერებს თითოეულის იდენტობას. დრო და სივრცე ბუნების ციკლს მიყვება და განაპირობებს ტომის ერთიანობას. საერთო ჯამში, კუნგის ბუშმენების ტომი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება სოციალური სტრუქტურები, უზრუნველყოფდეს სტაბილურ და ჰარმონიულ ცხოვრებას მცირე საზოგადოებაში.